



მთავრობის ადმინისტრაცია

არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შიდა რესტრუქტურიზაციის დაგეგმილ პროცესს ეხმიანება. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ეს პროცესი "ამჟამად დაგეგმილი სახით, კიდევ უფრო დაასუსტებს გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას და ამასთან ერთად, შექმნის ნოყიერ ნიადაგს კორუფციული გარიგებებისთვის". ამასთან დაკავშირებით "მწვანე ალტერნატივამ" განცხადება გაავრცელა.

"დაგეგმილი ცვლილებების დაუსაბუთებლობა, ერთი მხრივ, აჩენს ეჭვებს თანამდებობის პირთა არაჯანსაღ, ფარულ ინტერესებზე, რომელსაც შესაძლოა ემსახურებოდეს რესტრუქტურიზაცია; მეორე მხრივ, კი, მეტყველებს სურვილზე, მიიჩქმალოს ის სირთულეები, რაც გამოიწვია 2017 წლის დასასრულს მიღებულმა არასწორმა გადაწყვეტილებამ, სამინისტროთა გაერთიანების შესახებ" - წერია განცხადებაში.

ამასთან, ორგანიზაცია აცხადებს, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ ასაბუთებს დაგეგმილ რესტრუქტურიზაციას და არც ცვლილებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფრთხეებს ითვალისწინებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ოპტიმიზაციის შედეგად, ახალ უწყებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასული წლის ნოემბერში ეწოდა.

